ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 353

"1" ნოემბერი 2016 წ.

ქ.თბილისი

ქ. თბილისში, ვაჟა-ფშაველას გამზირი №1-13-ის მიმდებარედ არსებული 1812 კვ.მ. მიწის ნაკვეთიდან (საკადასტრო კოდი: №01.10.14.005.064) 20 კვ.მ. მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით შპს „დასისთვის" (ს/კ: 400117119) გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის - ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი'' 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 122[1] მუხლის მე-6 პუნქტის, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის №19-78 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-2 მუხლის მე-11 პუნქტის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. მიეცეს თანხმობა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას, „ქ. თბილისში, ვაჟა-ფშაველას გამზირი №1-13-ის მიმდებარედ არსებული 1812 კვ.მ. მიწის ნაკვეთიდან (საკადასტრო კოდი: №01.10.14.005.064) 20 კვ.მ. მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით შპს „დასისთვის" (ს/კ: 400117119) გადაცემის საკითხის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთვის შესათანხმებლად წარდგენის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2016 წლის 12 ოქტომბრის №39.21.854 განკარგულებით გათვალისწინებული უძრავი ქონების: ქ. თბილისში, ვაჟა-ფშაველას გამზირი №1-13-ის მიმდებარედ არსებული 1812 კვ.მ. მიწის ნაკვეთიდან (საკადასტრო კოდი: №01.10.14.005.064) 20 კვ.მ. მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით შპს „დასისთვის" (ს/კ: 400117119) სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემაზე.

2. შეთანხმდეს მიწის ნაკვეთის საიჯარო ქირის წლიური საფასური - 2 300 (ორი ათას სამასი) ლარის ოდენობით.

3. იჯარის მოქმედების ვადა განსაზღვრულია 10 წლით.

4. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ., №6).

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ალიბეგაშვილი